ურთიერთგაგების მემორანდუმი

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი") დადებულია ქ. დავოსში (შვეიცარია), 2012 წლის 25 იანვარს („ძალაში შესვლის თარიღი").

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა"), წარმოდგენილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის მიერ,

და

მეორეს მხრივ, - **GR-Energy Limited**, რომლის იურიდიული მისამართია: მალტა, ფლორიანა FRN1914, ვალეტა უოთერფრონტი, შენობა 14, სართული 2, (შემდგომში „კომპანია"), წარმოდგენილი მისი დირექტორის შტეფან ბალზანის მიერ,

1. მიზანი

ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანი არის კომპანიის მიერ თავისი სახსრებით ამ მემორანდუმის დანართი №1-თ გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური საკითხების შესწავლა/ანალიზი და შემდგომ მათი მშენებლობა ამ მემორანდუმით და მხარეთა შორის შემდგომ შეთანხმებული პირობების მიხედვით.

2. ტერმინთა განმარტება

2.1. **მემორანდუმი** – წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2.2. **პროექტი** – მემორანდუმის დანართი №1-თ გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური საკითხების შესწავლა/ანალიზი და შემდგომ მშენებლობა ამ მემორანდუმით და მხარეთა შორის შემდგომ შეთანხმებული პირობების დაცვით.

3. დანართი №1-თ გათვალისწინებული პროექტის განხორციელების პირობები

3.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადებიდან 18 (თერამეტი) თვის ვადაში უზრუნველყოფს:

ა) დანართი №1-თ გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური საკითხების შესწავლა/ანალიზის დასრულებას;

ბ) დანართი №1-თ გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების მთავრობისთვის წარდგენას.

3.2. იმ შემთხვევაში თუ 3.1. პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესრულების შედეგად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება დანართი №1-თ გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, 3.1. პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ;

ბ) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის სიმძლავრეს და წლიურ გამომუშავებას;

გ) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის განთავსების ზუსტ კოორდინატებს და მდინარის შესაბამის ნიშნულებს;

დ) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის დაწყების, მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების თარიღებს, აგრეთვე თითოეული ჰიდროელექტროსადგურისთვის განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობას;

ე) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკურ კვლევებს და მასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტებს (მათ შორის ნახაზებს) სრულად.

3.3. 3.2. პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან 2 თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ კომპანიის მიერ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებას ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის შესახებ.

3.4. 3.3. პუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 3.3. პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან მომდევნო 2 თვის ვადაში მხარეთა შორის იდება განხორციელების ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის საკუთრების და ოპერირების შესახებ.

3.5. განხორციელების ხელშეკრულების დადების დღეს კომპანია ვალდებულია მთავრობას (მთავრობის სასარგებლოდ) წარუდგინოს დადგენილი ვადებითა და პირობებით მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით თითოეული ჰიდროელექტროსადგურისთვის ცალკე, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, ამ (კონკრეტული) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის განსახორციელებელი ინვესტიციის 5%-ს ოდენობით. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში, ან საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 3 თვით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვების თარიღს.

3.6. მთავრობა, ამ მემორანდუმის დადებიდან 18 თვის განმავლობაში კომპანიასთან წერილობითი შეთანხმების გარეშე არ გადასცემს დანართი №1-თ გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების უფლებას სხვა პირს.

3.7. მთავრობა, განხორციელების ხელშეკრულების დადების ვადის ამოწურვამდე კომპანიასთან შეუთანხმებლად არ გადასცემს სხვა პირს დანართი №1-თ გათვალისწინებული იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების უფლებას, რომლის მშენებლობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის

შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება და რომლის მშენებლობაზეც მემორანდუმის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება.

3.8. მთავრობა უფლებამოსილია 3.6. პუნქტით დადგენილი ვადის გასვლამდე კომპანიასთან შეთანხმების გარეშე გადასცეს დანართი №1-თ გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების უფლება სხვა პირს, თუ

ა) მთავრობისთვის ცნობილი გახდა, რომ კომპანია არ ახორციელებს დანართი №1-თ გათვალისწინებული რომელიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური საკითხების შესწავლა/ანალიზს – მხოლოდ ამ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ნაწილში;

ბ) კომპანიამ წინასწარ განაცხადა უარი დანართი №1-თ გათვალისწინებული რომელიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე – მხოლოდ ამ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ნაწილში.

3.9. კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული დანართი №1-თ გათვალისწინებული იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური კვლევები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტები (მათ შორის ნახაზები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით, რომელთა:

ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება;

ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება მაგრამ 3.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე;

გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 3.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 3.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების შესახებ განხორციელების ხელშეკრულება;

დ) მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების მთავრობისთვის წარდგენის, მხარეთა მიერ მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების და მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების შესახებ განხორციელების ხელშეკრულების დადების ვადები მხარეთა მიერ განსაზღვრულია 3.11. პუნქტის შესაბამისად და ამ ვადებიდან დარღვეულია რომელიმე (პირველივე დარღვევა) მათგანი.

3.10. მთავრობა უფლებამოსილია მოითხოვოს და კომპანია ვალდებულია დაეთანხმოს დანართი №1-დან იმ ჰიდროელექტროსადგურების ამოღებას, რომელთა:

ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება;

ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება მაგრამ 3.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე;

გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 3.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 3.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების შესახებ განხორციელების ხელშეკრულება;

დ) მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების მთავრობისთვის წარდგენის, მხარეთა მიერ მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების და მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების შესახებ განხორციელების ხელშეკრულების დადების ვადები მხარეთა მიერ განსაზღვრულია 3.11. პუნქტის შესაბამისად და ამ ვადებიდან დარღვეულია რომელიმე (პირველივე დარღვევა) მათგანი.

3.11. დანართი №2-დან ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის დანართ №1-ში გადატანის შემთხვევაში, გადატანილი ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ტექნიკურ ეკონომიკური საკითხების შესწავლა/ანალიზის დასრულების, მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების მთავრობისთვის წარდგენის, მხარეთა მიერ მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების და მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების შესახებ განხორციელების ხელშეკრულების დადების ვადები მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ამასთან, დანართი №2-დან დანართ №-1-ში გადატანილი ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მიმართ 3.6. პუნქტით გათვალისწინებული პირობა იმოქმედებს გადატანის დღეს აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარჩენილი პერიოდით.

4. დანართი №2-თ გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ ეკონომიკური საკითხების შესწავლა/ანალიზი

4.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადებიდან 30 თვის განმავლობაში განახორციელებს დანართი №2-თ გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური საკითხების შესწავლა/ანალიზს.

4.2. 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული დანართი №2-თ გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური კვლევები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტები (მათ შორის ნახაზები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით.

4.3. მთავრობა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს და კომპანია ვალდებულია დაეთანხმოს დანართი №2-დან ნებისმიერი ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ამოღებას.

4.4. მთავრობა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადასცეს დანართი №2-თ გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების უფლება მესამე პირს. ამ მიზნით, მთავრობა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს აწარმოოს მოლაპარაკება და დადოს შეთანხმება ნებისმიერ მესამე პირთან ან/და გამოაცხადოს ინტერესთა გამოხატვა დანართი №2-თ გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების შესახებ ან/და განახორციელოს ნებისმიერი ქმედება ამ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების მიზნით.

4.5. კომპანიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ცვლილების გზით შესაძლებელია დანართი №2-დან ნებისმიერი ჰიდროელექტროსადგურის გადატანა დანართ №1-ში, იმ პირობით, რომ დანართი №2-დან ამ მიზნით არჩეული ჰიდროელექტროსადგური ჩაანაცვლებს №1-ით გათვალისწინებულ რომელიმე ჰიდროელექტროსადგურს, შესაბამისად დანართი №1-დან ამოღებულ ჰიდროელექტროსადგურზე კომპანიას არ ექნება უფლება და პრეტენზია. დანართი №1-დან ამოღებულ ჰიდროელექტროსადგურზე აღარ გავრცელდება წინამდებარე მემორანდუმი. ამასთან, კომპანია ვალდებულია ამ ჰიდროელექტროსადგურზე მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური კვლევები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტები (მათ შორის ნახაზები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით გადასცეს მთავრობას მოთხოვნისთანავე.

5. მიწის ნაკვეთზე უფლებები და მშენებლობის ნებართვები

5.1. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროებისდამიხედვით, მთავრობა უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადების წარდგენას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმატიულ ფასად საკუთრებში გადასაცემად.

5.2. მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩენს კომპანიას სათანადო დახმარებას მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მიღებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

6. ხარჯები, ინფორმაციის მიწოდება

6.1. პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

6.2. კომპანია ვალდებულია ამ მემორანდუმის დადების შემდგომ, ყოველ სამ თვეში ერთხელ, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარუდგინოს სრული (დეტალური) ინფორმაცია ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების მის მიერ შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

7. მემორანდუმის მოქმედება.

7.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

7.2. მემორანდუმის მოქმედება შეწყდება:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) დანართი №1-თ გათვალისწინებული იმ ჰიდროელექტროსადგურების ნაწილში, რომელთა:

ბ.ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება – 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 3.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე – 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 3.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 3.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების შესახებ განხორციელების ხელშეკრულება – 3.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.დ) მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების შესახებ დაიდო განხორციელების ხელშეკრულება – განხორციელების ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე;

ბ.ე) ტექნიკურ ეკონომიკური საკითხების შესწავლა/ანალიზის დასრულების, მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების მთავრობისთვის წარდგენის, მხარეთა მიერ მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების და მშენებლობის, საკუთრების და ოპერირების შესახებ განხორციელების ხელშეკრულების დადების ვადები მხარეთა მიერ განსაზღვრულია 3.11. პუნქტის შესაბამისად – ამ ვადებიდან რომელიმეს (პირველივეს) დარღვევისთანავე.

გ) დანართი №2-თ გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების ნაწილში 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე.

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.3. წინამდებარე მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მემორანდუმის მოქმედების და კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ აუქმებს 3.9. და 4.2. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.

8. ცვლილებების და დამატებების შეტანა

მემორანდუმში მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. თუ აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის ნებისმიერი პირობა აღმოჩნდება გამოუყენებადი ან იურიდიულად ძალადაკარგული, ამ შემთხვევაში სხვა პირობები კვლავ ძალაში იქნება.

9. შეტყობინებები

მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები შედგენილ უნდა იქნეს წერილობით და გაიგზავნოს ფოსტის, კურიერის ან ფაქსის (ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით) მეშვეობით. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.

10. გამოყენებული სამართალი და დავების განხილვა

10.1. მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10.2. მხარეთა შორის წინამდებარე მემორანდუმიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მეშვეობით, რომლებიც დავას განიხილავენ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ასლები, მემორანდუმის ენა

მემორანდუმი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ორ-ორ თანაბარუფლებიან ეგზემპლიარად. შეუთავსებლობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულენოვან ვერსიას.

ხელმოწერები:

"მთავრობა"

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური

"კომპანია"

დირექტორი

შტეფან ბალზანი

დანართი №1

№	ჰესის დასახელება	მდინარის დასახელება	რეგიონი	სავარაუდო დადგმული სიმძლავრე მგვტ	რეგულირების სახეობა	მდინარის ნიშნული
1	ჯონოული ჰესი 1	ჯონოულა	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	1.1	მოდინებაზე	დასახუსტებელია
2	ჯონოული ჰესი 2	ჯონოულა	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	6.6	მოდინებაზე	დასახუსტებელია
3	ჯონოული ჰესი 3	ჯონოულა	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	13.0	მოდინებაზე	დასახუსტებელია
4	თრუსო ჰესი	თერგი	მცხეთა-მთიანეთი	8.70	მოდინებაზე	დასახუსტებელია
5	კობი ჰესი	თერგი	მცხეთა-მთიანეთი	3.80	მოდინებაზე	დასახუსტებელია
6	თერგი ჰესი	თერგი	მცხეთა-მთიანეთი	26.30	მოდინებაზე	დასახუსტებელია
7	სნოსწყალი ჰესი	ართხმოსწყალი	მცხეთა-მთიანეთი	22.20	მოდინებაზე	დასახუსტებელია
8	ჯუთა ჰესი	ჯუთა	მცხეთა-მთიანეთი	8.90	მოდინებაზე	დასახუსტებელია
9	ჩხერი ჰესი	ჩხერი	მცხეთა-მთიანეთი	14.80	მოდინებაზე	დასახუსტებელია
10	ამალი ჰესი	მალი	მცხეთა-მთიანეთი	8.30	მოდინებაზე	დასახუსტებელია
11-14	ტეხურა 1,2,3,4	ტეხურა	სამეგრელო-ზემო სვანეთი	109	მოდინებაზე	დასახუსტებელია
15	ძეგვი	მტკვარი	მცხეთა-მთიანეთი	10.0	მოდინებაზე	დასახუსტებელია

დანართი №2

№	ჰესის დასახელება	მდინარის დასახელება	რეგიონი	საავარაუდო დადგმული სიმძლავრე მგვტ	რეგულირების სახეობა	მდინარის ნიშნული
1	სტორი ჰესი	სტორი	კახეთი	11.8	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
2	სტორი ჰესი 1	სტორი	კახეთი	14.0	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
3	სტორი ჰესი 2	სტორი	კახეთი	11.4	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
4	სტორი ჰესი 3	სტორი	კახეთი	13.7	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
5	ნატანები 1 ჰესი	ნატანები	გურია	7.2	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
6	ნატანები 2 ჰესი	ნატანები	გურია	7.5	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
7	ნატანები 3 ჰესი	ნატანები	გურია	11.5	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
8	ურაველი ჰესი 1	ურაველი	სამცხე-ჯავახეთი	4.3	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
9	ურაველი ჰესი 2	ურაველი	სამცხე-ჯავახეთი	5.07	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
10	მუხხი ჰესი	ინჯასუ	სამცხე-ჯავახეთი	2.04	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
11	ზარზმა ჰესი	ძინძისწყალი	სამცხე-ჯავახეთი	4.30	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
12	ჭელა ჰესი	ქვაბლიანი	სამცხე-ჯავახეთი	8.20	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
13	ქვაბლია ჰესი	ქვაბლიანი	სამცხე-ჯავახეთი	6.78	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
14	ზესტაფონი 1	ყვირილა	იმერეთი	10.0	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
15	ზესტაფონი 2	ყვირილა	იმერეთი	11.9	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
16	ზესტაფონი 3	ყვირილა	იმერეთი	15.9	მოდინებაზე	დასაზუსტებელია
17	ზესტაფონი 4	ყვირილა	იმერეთი	15.9	მოდინებაზე	დასაზუსტებელია

№634
26-01-2012

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№101 2012 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და კომპანია „GR-Energy Limited"-ს შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და კომპანია „GR-Energy Limited"-ს შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2. „საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 11 მაისის №324 ბრძანებულების შესაბამისად, მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური